საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA
სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

N 09/4416
24/06/2020

4416-09-2-202006241025

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის
პროგრამის კოორდინატორს
ვახტანგ კობალაძეს

ბატონო ვახტანგ,

პროექტის „უსაფრთხო პროდუქტები ქართველ მომხმარებლებს“ ფარგლებში სურსათში სუდანის ჯგუფის საღებავების აღმოჩენასთან დაკავშირებით სურსათის ეროვნულმა სააგენტომ განახორციელა შემდეგი ქმედებები:

თქვენ მიერ მითითებულ ბიზნესოპერატორებს აეკრძალათ აღნიშნული სურსათის რეალიზაცია, დაევალათ უმოკლეს ვადაში სურსათის ბაზრიდან გამოთხოვა, გამოთხოვილი სურსათის რაოდენობის აღრიცხვა და მიღებული ზომების შესახებ სააგენტოს დაუყოვნებლივ ინფორმირება.

ამასთან, სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო კონტროლის დროს შეტყობინებაში მითითებული პროდუქცია (აჯიკა "waime!" - მწარმოებელი - Georgian spices & more. შეფუთვა 0,50 კგ. - 26 ცალი; „ხათოს აფხაზური აჯიკა“ - მწარმოებელი ი/მ თამარ ყოლბაია - შეფუთვა - 0,250 მლ/ლ - 27 ცალი; ტომატის საწებელი ცხარე "სუპრემო" - მწარმოებელი შპს „ფუდსერვისი“ - შეფუთვა - 0,530 კგ. - 3 ცალი) ამოღებულ იქნა სარეალიზაციო ქსელიდან და დაილუქა ადგილზე.

ბიზნესოპერატორებმა ბაზრიდან გამოითხოვეს თქვენს წერილში მითითებული სურსათი, აღრიცხეს გამოთხოვილი სურსათის რაოდენობა და მიღებული ზომების შესახებ აცნობეს სააგენტოს. ბაზრიდან გამოთხოვილი სურსათი განადგურდა.

დამატებით გაცნობებთ, რომ 2020 წელს სააგენტოს მიერ, სურსათში საღებავების შემცველობის განსაზღვრის მიზნით, დაგეგმილია სურსათის 35-მდე ნიმუშის კვლევა.

პატივისცემით,

ზურაბ ჩეკურაშვილი

სააგენტოს უფროსი

ქ. თბილისი 0159, მარშალ გელოვანის გამზ. №6
6 Marshal Gelovani Ave., Tbilisi 0159, Georgia
ტელ/Tel: (+995 32) 91 91 67
ფაქ/Fax: (+995 32) 91 91 65
www.nfa.gov.ge
info@nfa.gov.ge